

გაჩვენოს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ოფისის მხარდაჭერით

დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა, ზოგან - ძლიერი, დასავლეთის მიმართულების ქარი - 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 7-12, შიდა-მთიან რაიონებში - 2-7, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 762 მილიმეტრი. ზვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

კრიკოსი N იუსი

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ორბელიანების სასახლეში პირისპირ შეხვედრა გამართა შვედეთის პრინცესა ვიქტორიასთან. საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, გვირგვინოსანი პრინცესას საქართველოში ვიზიტის მასპინძელია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია. შვედეთი ამჟამად ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანაა.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრები საქართველოში ვიზიტით მყოფ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრებს შეხვდნენ. შეხვედრაზე განხილული იყო 12 პუნქტის განხილვის შესახებ და დაკავშირებით იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობა და ამ მიმართულებით სამომავლო გეგმები.

პარტია „კანონი და სამართლის“ თავმჯდომარე თაო ჩარკვიანის განცხადებით, ნიკა გილაური ბიძინა ივანიშვილის დავალებით ქმნის პარტიას, რომელშიც ნიკა მელია და ხატია დეკანოიძე გაწევრიანდებიან. საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური პარტიის შექმნის შესახებ განცხადებას ფეისბუქზე გამოქვეყნა და მას „სრული სიცრუე“ უწოდა.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საპარლამენტო საქმიანობას უბრუნდება. „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე ლევან ბუაჩიშვილის განცხადებით, ფრაქცია მონაწილეობას მიიღებს საპარლამენტო სხდომებში და განხილვებში. „ყველა იმ საკითხზე, რომელიც ეხება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, ეს იქნება ევროპული დღის წესრიგიდან გამომდინარე თუ 12 პუნქტის შესრულება, პარტია საპარლამენტო საქმიანობაში ჩართული იქნება“, - აღნიშნა მან.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო საქმიანობაში დაბრუნების საკითხს გამოეხმაურა. „ორი რეკომენდაცია დარჩა გასათვალისწინებელი, მანამდე რეკომენდაციებთან დაკავშირებული ყველა კანონპროექტი ისე მივიღეთ, რომ „ნაციონალურმა“ არ იყო ჩართული. ბოლო ეტაპზე რა ფასი აქვს მათ ჩართულობას, არ გიცოცხლო, თუმცა ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ისინი ქუჩაში იქნებიან თუ პარლამენტში, მათ არც ქუჩის და არც პარლამენტის რესურსი არ აქვთ“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

მომავალა ია შვედეთში

ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის წარმომადგენლობითი დელეგაცია პრეზიდენტ დოქტორ ფრანც შაუსბერგერის მეთაურობით

ფრაქცია გაბაიძე 514 22 22 80

დელეგაციის მეთაურს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ უმასპინძლა. შეხვედრაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე და აპარატის უფროსი ზურაბ ჭურკვეიძე ესწრებოდნენ, ყურადღება გამახვილდა სამომავლო თანამშრომლობის საკითხებსა და პერსპექტივებზე.

სტუმრებმა დაათვალიერეს აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობა, გადაიღეს სამახსოვრო ფოტო და ჩანაწერი დატოვეს შთაბეჭდილებათა წიგნში.

ცნობისთვის: ევროპის რეგიონთა ინსტიტუტი (IRE) 2004 წელს ავსტრიაში, ქალაქ ზალცბურგში დაარსდა, როგორც ეკონომიკური და სამეცნიერო დაწესებულება. ამჟამად ინსტიტუტი აერთიანებს ევროპის 23 სახელმწიფოს 130-ზე მეტ რეგიონს, ქალაქსა თუ დაწესებულებას. ევროპის რეგიონთა ინსტიტუტში აჭარა 2012 წელს გაწევრიანდა.


შეხვედრის დასრულების შემდეგ, ჩვენს კითხვებს უპასუხა ფრანც შაუსბერგერმა და აღნიშნა, რომ ევროპის რეგიონთა ინსტიტუტსა და აჭარის რეგიონს შორის თანამშრომლობა 10 წე-



პარტნიორებს, რათა მათ განახორციელონ ის წესები, რომელიც ევროპაში მოქმედებს და ისარგებლონ იმ ბენეფიტებით და პროექტებით, რომლებსაც ევროკავშირი მათ სთავაზობს. ჩვენი ვიზიტის ძირითადი მიზანი თქვენი ქვეყნის

კონკრეტული რეგიონი იმისათვის, რომ გავხდეთ ევროპული ოჯახის სრულფასოვანი და ღირსეული წევრი“.

ევროპის რეგიონთა ინსტიტუტთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თანამშრომლობა 10 წელზე მეტს ითვლის, თუმცა 2020 წლამდე პრაქტიკული აქტივობები არ ყოფილა. 2020 წელს, პანდემიის პერიოდში, შედგა ბატონ ფრანც შაუსბერგერთან პირველი კონტაქტი დისციპლინარად, მაშინ დაიგეგმა თანამშრომლობის გააქტიურება. შესაბამისად, ჩვენ გასული წლის ბოლოს გვქონდა შესაძლებლობა, ბატონი შაუსბერგერის ინიციატივით, მონაწილეობა მიგველო IRE-ს გენერალურ ასამბლეაში, სადაც გაიმართა ჩვენი რეგიონის პრეზენტაცია და 4 დღის განმავლობაში ზალცბურგის მცხოვრებლები, ქალაქის სტუმრები საინფორმაციო რგოლების მეშვეობით ეცნობოდნენ საქართველოს და აჭარის რეგიონს. ბუნებრივია, ამ შესაძლებლობისთვის მას მაღლობა მინდა გუთხრა. ჩვენ ვცდილობთ, გავზარდოთ როგორც აჭარის, ისე მთლიანად საქართველოს ცნობადობა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ავსტრიაში და ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის წევრ რეგიონებში. ბატონი ფრანც შაუსბერგერის და მისი დელეგაციის ვიზიტი არის კიდევ ერთი შესაძლებლობა, გუთხრათ სტუმარს, რას აკეთებს საქართველო იმისთვის, რომ გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი. ჩვენ მოვისმინეთ რეკომენდაციები და, რაც მთავარია, მან გამოთქვა სურვილი, დაეხმაროს როგორც ჩვენს რეგიონს, ასევე მთლიანად საქართველოს იმაში, რომ მოვიპოვოთ ის, რაზეც საუკუნეების განმავლობაში ჩვენი წინაპრები, ქართველი ხალხი ოცნებობდა. ეს არის ევროპული ოჯახის ღირსეული და სრულფასოვანი წევრობა, - გვითხრა დავით გაბაიძემ.



ლიწადზე მეტია გრძელდება. აჭარის დელეგაცია ზალცბურგში გასულ წელს იმყოფებოდა.

საქართველო ევროპული ქვეყანაა, აჭარა კი ევროპული რეგიონი და საქართველოს მისწრაფება ევროპაში ინტეგრაციისკენ არის ის საკითხი, რაშიც გვინდა დავეხმაროთ, რადგან იმისთვის, რომ საქართველო თავისი რეგიონებით გახდეს ევროკავშირის წევრი, გარკვეული წინაპირობებია შესასრულებელი. გვსურს, რომ ის გამოცდილება, რომელიც გავაჩინა როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნას, გავუზიაროთ ჩვენს

მხარდაჭერაა. ჩვენი სრული დახმარების იმედი გქონდეთ, მზად ვართ, დაგეხმაროთ ჩვენი გამოცდილებითა და შესაბამისი ბერკეტებით, - აღნიშნა ფრანც შაუსბერგერმა.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ დელეგაციასთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ „ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის დელეგაციის ვიზიტი აჭარაში, პრეზიდენტ დოქტორ ფრანც შაუსბერგერის მეთაურობით, კიდევ ერთი შესაძლებლობაა, ვაჩვენოთ ევროპას, თუ რას აკეთებს ჩვენი ქვეყანა, მისი

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწიეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სა-დისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწიეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) პრეზიდენტ დოქტორ ფრანს შაუსბერგის შეხვედრა

შეხვედრაზე განიხილეს თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს, რომ IRE მზადაა მხარი დაუჭიროს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, რათა საქართველომ შეძლოს ისარგებლოს იმ სიკეთებით, რომლებსაც ევროკავშირი თავის წევრებს სთავაზობს

ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) მიზანია ევროპული რეგიონებისთვის თანამშრომლობის პლატფორმის შექმნა, ურთიერთობების გაღრმავება, ევროკავშირთან დაახლოების ხელშეწყობა და გამოცდილების გაზიარება.

IRE ყოველწლიურად მართავს გენერალურ ასამბლეას, ზალცბურგის ევროპის სამიტს, ევროპის რეგიონებისა და ქალაქების კონფერენციებს, სადაც განიხილება ისეთი აქტუალური თემები, როგორებიცაა ევროპის რეგიონების, ქალაქების განვითარების სამომავლო სტრატეგიები, პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები.

აჭარის მთავრობის პრესსამსახური



სიფრული უნარების შესწავლა უფასოდ - პროგრამის პრეზენტაცია

ნაიბა შუტაბაძე 27 48 93

„დასაქმების ხელშეწყობა ციფრული უნარების განვითარების გზით“ - ამ სახელწოდების პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა ბათუმის ტექნოპარკში. პროგრამა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში დასაქმების მიზნით სამთვიან უფასო სასწავლო კურსს მოიცავს, რომელსაც საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებს.

ბათუმში დაინტერესებულ პირებთან შეხვედრა აჭარის დასაქმების სააგენტოს ინიციატივით შედგა. პროგრამაში ჩართულმა მხარეებმა თანამშრომლობის მეორხანდელმა გააფორმეს. შეხვედრაზე ისაუბრეს სპეციალობის დაუფლების დადებით შედეგებზე, განმარტეს, რომ სპეციალისტებზე მოთხოვნა მსოფლიოს მასშტაბით ძალიან დიდია, საქმის შესწავლის შემთხვევაში კი დასაქმების შანსები მაღალია.

თორნიკე რიჟვაძე საქართველოს სახალხო დამცველ ლევან იოსელიანს შეხვედა

თორნიკე რიჟვაძემ სახალხო დამცველს თანამდებობაზე არჩევა მიულოცა, წარმატებები უსურვა და შემდგომი თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვა

ლევან იოსელიანმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის სახალხო დამცველის აპარატის პრიორიტეტები და სამომავლო გეგმები გააცნო. მხარეებმა დემოკრატიის განვითარების ხარისხზე და ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით მიმდინარე ღონისძიებებზე ისაუბრეს.

აჭარის მთავრობის პრესსამსახური



ბათუმში „ქართული ოცნების“ საქალაქო ორგანიზაციის კონფერენსია გაიმართა

ნაიბა შუტაბაძე 514 22 22 80

„ქართული ოცნების“ პარტიული კონფერენციები აჭარიდან დაიწყო

ბათუმში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ მმართველი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, გენერალური მდივანი კახა კალაძე, აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე, რეგიონული მდივანი დიმიტრი სამხარაძე, აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაძე, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ჩიქოვანი, საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე,



საპარლამენტო უმრავლესობის წევრები - ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი რესან კონცელიძე და ალექსანდრე ტაბატაძე. კონფერენციის მონაწილეებმა „ქართული ოცნების“ ბათუმის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი,

ასევე, ბიუროს წევრები აირჩიეს. „ქართული ოცნება“ ქვეყნის მასშტაბით 73 პარტიულ კონფერენციას გამართავს.

არჩილ ჩიქოვანმა განაცხადა: „ჩემთვის დიდი პატივია, რომ პარტია „ქართული ოცნება“ - დემოკრატიული საქართველოს“ ბათუმის ორგანიზაციას ვუხელმძღვანელებ. ორმაგად საპასუხისმგებლო და სამაგალი, ვიყო „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი.

მადლობა მინდა ვუთხრა „ქართული ოცნების“ დიდ და ძლიერ პოლიტიკურ გუნდს, პოლიტსაბჭოსა და დელეგატებს ნდობის გამოცხადებისთვის, მადლობა ყველას მხარდაჭერისათვის“.

ძლიერი ქარი - ბათუმში

ნაიბა შუტაბაძე 514 22 22 80

ძლიერმა ქარმა ბათუმის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში გარკვეული პრობლემები შექმნა. დაფიქსირდა სახურავების გადახდისა და ხეების წაქცევის ფაქტები, რის გამოც რამდენიმე შეფერხდა მოძრაობა. გაწვევების სამსახურმა წაქცეული ხეები ტერიტორიიდან გაიტანა. რამდენიმე ლოკაციაზე დაზიანდა ელექტროსადენები და ელექტროგადამცემი ბოძები. მერიის შესაბამისი სამსახურები საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ.

მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა სალიკვიდაციო ღონისძიებები, დანაგვიანებული პერიმეტრის დასუფთავება.

ასევე მიმდინარეობს წაქცეული საგზაო ნიშნების აღდგენის ბოძების აღდგენა, ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული სახურავების ნარჩენებისგან გასუფთავება და მომზადება გადასურვის სამუშაოების დასაწყებად.

მერიის სამსახურებმა საგანგებო რეჟიმში იმუშავეს.

ახალგაზრდული ფორუმი - ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში

ნაიბა შუტაბაძე 514 22 22 80

ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში 28 მარტს პანელური დისკუსიის ფორმატის ახალგაზრდული ფორუმი გაიმართა, რომლის თემა იყო „მდგრადი განვითარება ევროინტეგრაციისთვის“

უნივერსიტეტის სტუდენტებთან ძირითად ისაუბრეს გავრცელებული მდგრადი განვითარების მიზნებსა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის საკითხებზე. ბსუ-ის რექტორი მერაბ ხალვაში სტუდენტებს ნატო-საქართველოს ურთიერთობების მნიშვნელობაზე ესაუბრა.

ფორუმის მიზანია ახალგაზრდების ინფორმირებულობა, ჩართულობა და გადაწყვე-

ტილების მიღებაში მონაწილეობა. მოხარული ვარ, რომ ჩვენი სტუდენტები ამ ფორუმის მონაწილეები არიან, - აღნიშნა მერაბ ხალვაში. მოწვეულმა ექსპერტმა, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის თავდაცვის საკითხთა დეპარტამენტის უფროსმა მრჩეველმა ნათია გვენეტაძემ ნატო-საქართველოს ურთიერთობებსა და არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

- საინფორმაციო ცენტრი მთელი ქვეყნის მასშტაბით რეგულარულად ატარებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების სპეციფიკურ მორგებულ საინფორმაციო კამპანიებს. ასევე, ტარდება საჯარო ღონისძიებები, სემინარები, შე-

მეცნებითი აქტივობები. საინფორმაციო ცენტრი წლის განმავლობაში საგანმანათლებლო ღონისძიებებს აქტიურად ახორციელებს რეგიონში. ხვალ შეხვედრა გვაქვს აჭარის მაღალმთიანეთში, კერძოდ კი შუახევის მუნიციპალიტეტში. ფორუმს იქ მოღვაწე პედაგოგები დაეწევიან, - განაცხადა ნათია გვენეტაძემ. შეხვედრაზე სტუდენტების გარდა პედაგოგებიც იმყოფებოდნენ. აღინიშნა, რომ სწორედ ახალგაზრდები და პედაგოგები წარმოადგენენ საინფორმაციო ცენტრის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სამიზნე აუდიტორიას.

- მადლობა საინტერესო შეხვედრისთვის ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტს

და ორგანიზაციას „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“. რაც უფრო მეტად მოგვეცემა ამის შესაძლებლობა, მით მეტად გამოვადგებით ჩვენს ქვეყანას. ჩვენი წარმატება ქვეყნის სიძლიერეა და არცერთი წამი არ უნდა დაიკარგოს ფუჭად, - განაცხადა სტუდენტმა თამაზ კალანდაძემ.

ახალგაზრდული ფორუმის ორგანიზატორები იყვნენ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ და „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ - დედაპირის მეგობრები“. შეხვედრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით ჩატარდა.



სამშობლოსათვის თავდადებული პრეზიდენტი

ლავა ხომბრიძე 593 50 82 69

სამშობლოსთვის თავდადება წმიდათა წმიდა ვალია და მამულისთვის სიკვდილი რჩეულთა ხედვრია! სულიერების უზესთაესი ღირსების ეს გამოვლენა საუკუნეებს ასულდგმულებს და სინათლის და სიკეთის რაინდებსაც გვიმრავლებს, რაინდებს, რომელთაც საკრალური ფუნქცია დააკისრა დედაბუნებამ

სწორედ ასეთად წარმოგვიდგება ზვიად გამსახურდია - საქართველოს პირველი პრეზიდენტი, მეცნიერი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, საერო საქმისთვის თავგანწირული, უდრეკი მებრძოლი. უკვე 30 წელია, ზვიად გამსახურდია იმიერი სამყაროს ბინადარია, მაგრამ ამიერსამყაროშიც ყველას ახსოვს.

31 მარტს ჩვენი ქვეყანა არა მხოლოდ 32 წლის წინანდელი ისტორიული მოვლენის - რეფერენდუმის ჩატარების თარიღს აღნიშნავს, არამედ საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადების დღეს - მას 84 წელი შეუსრულდება.



ზვიად გამსახურდია თანამედროვეთათვის საკრალური პიროვნებაა, მას უხვად ამკობდნენ ეპითეტებით: დედამიწაზე მოვლენილი გულიერი, სულმნათი, გრაალის რაინდი... ასეთი შეფასებები საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა თავისი მოღვაწეობითა და ცხოვრებით დაიმსახურა.

ყმაწვილობის ასაკიდან იბრძოდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისთვის, ცნობილი დისიდენტი ტოტალიტარულ სახელმწიფოში იმთავითვე აღიქმებოდა როგორც საერო საქმისათვის თავგანწირული, უდრეკი მებრძოლი. იგი არა მარტო ლიდერი იყო ეროვნული მოძრაობისა, არამედ ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლობა მოაპოვებინა და საკუთარი თავი უყოყმანოდ მიიტანა სამშობლოს სამსხვერპლოზე. იგი საქართველოსა და მთლიანად კავკასიის მტრებმა მოკლეს... რაც დრო გადის, ზვიადის სახელი მეტი შარავანდედით იმოსება და როგორც ერის უკვდავი სული, ჩვენი მუდმივი თანამდევია.

ბოლომდე ერთბაშად ღირს იმ ეროვნული სულიკვებითა, რომლის აღორძინებასაც ზვიად გამსახურდია შეინერა

კაცია, რომელიც სამშობლოს მოჯახუე მალღა აყენებდა

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

წუთისფლიდან ნადრეგად წასულმა პოლიტიკოსმა, საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უახლოესმა თანამებრძოლმა, დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმომწერმა, ქართველოლოგმა, პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ დიდი და ეროვნულ საქმეებთან ერთად შესაშური ოჯახი და შვილები დატოვა. მეუღლის - ია ვაშაიძის მსგავსად, ეროვნულ მეცნიერებაში თავის სიტყვას ამბობს ტარიელის ქალიშვილი ნათია შუტბარაძე



იგი ჩვენი სტუმარია და მამაზე, ზვიად გამსახურდიასთან მის ურთიერთობებზე გვესაუბრება.

- მამაჩემის მიზანი იყო, პირველ რიგში, არა მხოლოდ აჭარის, არამედ საქართველოს ყველა კუთხის ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლა და ამ გზით ერთიანი ქართველური ცნობიერების გააქტიურება. თავის ბოლო გამოცდევამში, რომელიც ცნობილ ეთნოგრაფ თედო სახოკიას ზემო აჭარაში მოგზაურობას ეხება, მან თვალნათლივ წარმოაჩინა ჩვენი მშობლიური კუთხის ტურისტულ ქსელში ჩართვის პერსპექტივა, რაც, ბუნებრივია, ბიძგ მისცემს ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ინტერესის ზრდას. მე ჩემი სამსახური - ამერიკის საბჭოებში მუშაობა მძღვეს საშუალებას, გარკვეულწილად, ხელი შევეწყო მამის ჩანაფიქრის განხორციელებას: ქართული ენისა და კულტურის შესწავლით დაინტერესებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მივცე რეკომენდაცია, ესტუმრონ ქართულ სოფლებს, დააკვირდნენ ცოცხალ მემკვიდრეებს, ჩვენი ქვეყნის კუთხეების მრავალფეროვნებას. უამრავ უცხოელ მკვლევართან მიწვევს მუშაობა, რომელთაც ქართული ენის შესწავლის გარდა, ვცდილობ, ქართული კულტურის მიმართაც გავუღვივო ინტერესი. ჩემი რეკომენდაციით, ბევრი მათგანი სტუმრობს როგორც მთიანი აჭარის სოფლებს, ასევე ბათუმის არქივს.

ერმა, მადლიერმა საზოგადოებამ ტარიელ ფუტყარაძის დავალი დააფასა. კიდევ რის გაკეთებას ჩათვლიდათ მიზანშეწონილად?

- ქართველი საზოგადოების საოცარი ერთსულიანობის დასტურია ის აქტივობები, რომლებიც განხორციელდა მამაჩემის ხსოვნის უკვდავსაყოფად. ყურადღებას შევაჩერებ ძირითად ნაწილზე: თბილისში უკვე არის ტარიელ ფუტყარაძის ქუჩა, მისი სახელი მიენიჭა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, სადაც მამა 28 წელი მოღვაწეობდა, ასევე, მის მშობლიურ შუბნის საჯარო სკოლას და ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზს; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გაიხსნა ტარიელ ფუტყარაძის სახელობის კაბინეტი და დაარსდა მისი სახელობის სტიპენდია; აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით, ტარიელ ფუტყარაძის სახელობის სტიპენდია დაარსდა წარჩინებული სტუდენტებისთვის, სოფელ ტომაშეთში სკვერი გაიხსნა; აჭარის ხელოვნების სკოლის დირექტორის - ვახტანგ ბერიძის ინიციატივითა და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სახალხო ფესტივალის „ზე-კართან“ ღონისძიებათა ნაწილი დაიგეგმა მშობლიურ სოფელ საფუტყარეთში; ასევე, მერიის მხარდაჭერით, მთიან აჭარაში ტრადიციად იქცა სახალხო დღესასწაული „დიდგორობა კუნტაისის მერიის მხარდაჭერით გაიხსნა მემორიალური დაფა მის საცხოვრებელ სახლზე ქუთაისში; ჩატარდა პროფესორ-მასწავლებელთა და ასევე, მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენციები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კერძოდ, თბილისში - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტსა და კრწანისის საჯარო სკოლაში; გორისა და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტებში; ქუთაისში - აწესდა ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრსა და ი. ოცხელის სახელობის №2 საჯარო სკოლაში; ბათუმში - საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზში; გამოვიდა მამისადმი მიძღვნილი ქართული ენის სახელმძღვანელო დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენის განყოფილების სტუდენტებისთვის, რომლის ავტორებიც არიან ამავე უნივერსიტეტის პროფესორები მაკა სალია და შორენა ლომია; ასევე სამეცნიერო კრებულები: „ქართველური მემკვიდრეობის“ 25-ე ტომი და „წელიწადეულის“ მე-12 ნომერი, რომლებიც მამის საუბილეო თარიღსა (60 წ.) და სამეცნიერო მოღვაწეობას ეხება, ბატონ გიორგი სოსიასვილის მოთხოვნითა კრებულები: „სისხლის სათავე“ და „იაი-ლები“; საპატრიარქოს უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ძალისხმევით მომზადებული კრებული „სანამ ჩირაქი დაინისლება“, რომელშიც შევიდა კოლეგებისა და სტუდენტების მოგონებები მამაზე... სწორედ ჩვენი საზოგადოების გულწრფელმა თანადგომამ მოგვცა მოტივაცია, რომ

მამის კოლეგებთან, მეგობრებთან და სტუდენტებთან ერთად დაგვეარსებინა „ტარიელ ფუტყარაძის ქართველოლოგიის საერთაშორისო საზოგადოება“ და განვეცხადებოდა ჩვენი თვალთახედვით საშური სამომავლო ამოცანები: 1. ტარიელ ფუტყარაძის სამეცნიერო-პედაგოგიური თუ პუბლიცისტური ნაწარმის მომზადება სისტემური გამოცემისათვის; აქ გთვალისწინებულია როგორც სხვადასხვა პერიოდული გამოცემის პუბლიკაციები, ისე აქამდე გამოუცემელი მასალები, კერძოდ: - სოციალურ ქსელში განთავსებული სტატიები და ჩანაწერების ის ნაწილი, რომელიც დირექტორმა ტარიელ ფუტყარაძის, როგორც პიროვნების, მოქალაქის, მასწავლებლის, საბჭოთა იდეოლოგიებისაგან თავისუფალი ქართველოლოგიის განვითარებისა და ქართველთა ერთიანობისათვის მებრძოლის წარმოსაჩინად; - დღიურები, რომლებსაც ტარიელ ფუტყარაძე წლების განმავლობაში ქმნიდა; ეს ჩანაწერები, ასახავს რა ერთი ქართველი კაცის თავგადასავალს, ამავდროულად, წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს ჩვენი უახლესი ისტორიის შესასწავლად. 2. ტარიელ ფუტყარაძის ავტორობითა და რედაქტორობით მომზადებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ქართული ენის კურსების/პროგრამების შემუშავება-ამოქმედება: საქართველოს მოქალაქეებისათვის; საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს მიღმა მცხოვრები ქართველებისთვის, რომლებიც არიან ამჟამინდელ თურქეთსა და ირანის პროვინციაში - ფერეიდანში; უცხოელებისათვის; ამ ეტაპზე ჩვენი საზოგადოება უსასყიდლოდ წარმართავს ქართული ენის კურსებს უკრაინელი ლტოლვილებისთვის. 3. ტარიელ ფუტყარაძის ჩანაფიქრის მიხედვით, სხვადასხვა სახელმძღვანელოს (ქართული ენა, ქართული ენის სტილისტიკა...) მომზადება; 4. აქტიური თანამშრომლობა ყველა იმ დაწესებულებასთან, რომელიც დაინტერესებულია ტარიელ ფუტყარაძის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიების მომზადებით; 5. ტარიელ ფუტყარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ყოველწლიური კონფერენციის ორგანიზება, სადაც წარმოდგენილი იქნება საზოგადოების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში და სხვა.

- როგორ შეფასებთ სახალხო დღესასწაულ „უნივერსიტეტის“ დაწესებას?

იხ. მე-4 გვ.

უხსოვარი

ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის განცხადებით, მოლოდინს, უკრაინისა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების პროცესის დაწყების შესახებ ევროპულმა საბჭომ გადაწყვეტილება 2023 წლის ბოლომდე უნდა მიიღოს. აღნიშნული განცხადება მან კიშინიოვში, მოლოდინის პრეზიდენტ მაია სანდუსთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გააკეთა. „ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება იმ ანგარიშის გათვალისწინებით, რომელსაც ევროკომისია გამოაქვეყნებს“, - განაცხადა შარლ მიშელმა.

თურქეთის სამი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა ქვეყნის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართეს მოთხოვნით, მოქმედ პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს მისი დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე კენჭისყრა აეკრძალოს. მათი განცხადებით, პრეზიდენტობის კანდიდატად ერდოღანის რეგისტრაცია კონსტიტუციას არღვევს, ვინაიდან ის უკვე ორჯერ იყო ქვეყნის პრეზიდენტი. თავის მხრივ, ერდოღანის პარტიის წევრმა მუსტაფა შენთოფმა განაცხადა, რომ 2018 წელს, კონსტიტუციის შეცვლის შემდეგ, ერდოღანმა ახალ საპრეზიდენტო სისტემაში კენჭი პირველად იყარა, 2014 წლის არჩევნებში მოპოვებული გამარჯვება კი ამ კონტექსტში აღარ უნდა ითვლებოდეს.

რუსეთმა კონტინენტაშორისი ბალისტიკური რაკეტების გამოყენებით სამხედრო წერტონა დაიწყო. სწავლებაში 3 ათასი სახმედრო მისამსახურე და 300 ერთეული სამხედრო ტექნიკა მონაწილეობს. რუსეთის თავდაცვის უწყება სწავლებას გეგმურს უწოდებს, ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ მიზანი ატომური სარაკეტო კომპლექსების მანერირების და იარაღისა და სპეციალური ტექნიკის თანამედროვე სახეობების შესაძლებლობების შემუშავებაა.

ისრაელი სუვერენული ქვეყანაა, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს თავისი ხალხის სურვილების შესაბამისად და არა უცხოეთიდან, მათ შორის საუკეთესო მეგობრების ზეწოლის შედეგად, - ასე უპასუხა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაშუმ აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებას, რომელმაც ისრაელის მთავრობის მეთაურს მოუწოდა, სადავო სასამართლო რეფორმაზე უარი თქვას. „ჩემი ადმინისტრაცია ერთგულია დემოკრატიის განმტკიცების, მათ შორის ხელისუფლების სამ შტოს შორის საჭირო ბალანსის აღდგენის გზით, რის მიღწევასაც ვცდილობთ ფართო კონსენსუსის საფუძველზე“, - განაცხადა ნეთანიაშუმ.

რუსეთი სომხეთის ხელისუფლებას მოუწოდებს, შაავის სასამართლოსთან კავშირი შეწყვიტოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ოფიციალური მოსკოვი „სერიოზულ ნაბიჯებს“ გადადგამს. კრემლისტური მედიის ინფორმაციით, თუ სომხეთის პარლამენტი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კანონპროექტის რატიფიცირებას მოახდენს, ორმხრივი ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაუარესდება.

მომზადდა ია შველიძემ



ფარად და მახვილად დაუღბა „აჭარას“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

წარმატებული მეცნიერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **თამაზა ღამბი-თამი** ჩვენი გაზეთის სტუმარია.

- ქალბატონო თამაზა, გაზეთი „აჭარა“ 102 წლისაა. იყო დრო, როცა ზოგიერთებმა მისი დანერგვა განიზრახეს. მამათქვენი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ემენ დავითაძე ფარად და მახვილად დაუღბა გაზეთს.

- „აჭარის“ საგაზეთო ისტორიის შესწავლის პირველი ცდა, მამის ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო (სადისერტაციო) ნაშრომი - „გაზეთი „ფუნარა“ გახლავთ, რომელიც იმ პრესის საძირკველია, დღემდე ერთგულად რომ ემსახურება საზოგადოებას და აჭარაში ქართული სიტყვის მებაირახტრეა. ამდენად, ბუნებრივია, მის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე ვის, თუ არა მამას - გაზეთ „აჭარის“ მემკვიდრეს, ნამდვილად ეთქმოდნა სიტყვა, ამიტომ მისი ქომაგი და დამცველი გახდა.

- რამდენად გულგახსნილია თქვენთან მამა?

- რაც თავი მახსოვს, ყოველთვის დიდი მეგობრები ვიყავით და ვართ. მას აქვს სიყვარული და მისი გამოსატყვის საოცარი ნიჭი და უნარი. ალბათ, ამის დამსახურებია, რომ ყოველთვის თბილი და უშუა-



იდება. თუ იცით, რაზე მუშაობს?

- ახლანაზ გამოიცა მისი ლექსების საიუბილეო კრებული. მიზნად აქვს, თავი მოუყაროს პუბლიცის-

ვანება და სხარული სახელმწიფო პრემიასთან დაკავშირებით, რომელიც სწორედ „სოფლის აღმამენებელმა“ მოუტანა. მიელი ჩემი ბა-

თვის, ქვეყნისთვის აქტუალური თემაა. ყოველთვის იცოდა და იცის მწერლის, პოეტის და ზოგადად, შემოქმედი ადამიანის როლი ერსა და საზოგადოებაში. მისი პრინციპი მართალი სიტყვაა. ამისთვის მას არასდროს უღალატია. ამ პრინციპზეა აგებული ბოლო კრებულიც, მისი ნააზრევ-ნაფიქრალი. მის კალამს მელანი ჯერაც არ შეშრობია და კვლავაც კუთხის, ერის, ხალხის სამსახურშია.

- ქალ-ვაჟი და შვილიშვილები რით ეხმარებით და როგორ ეხმანებით?

- გვაქვს შეკრების, თავმოყრის ჩვენიული ტრადიციები და ერთად ყოფნით ვხარობთ. განუზომელია მშობლების სიხარული და სიბოლო, ყველგან რომ გვწვდება და გვაბობს.

- დავითაძეების დიდი და სიკეთით სავსე ოჯახებიდან გამოყოლილ მადლს შთამომავლობას რა ფორმით გადასცემთ?

- ახალგაზრდებს ვუზიარებთ იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რასაც პროფესიული თვალსაზრისით ვიძენთ, ვემსახურებით თაობებს და ვასწავლით ლიტერატურის სიყვარულს, რადგან დღეს, ინფორმაციით და ტექნოლოგიებით დატვირთულ სამყაროში მეტ შინაარსობრივ დატვირთვას იძენს სულიერება, რომლის სახმილი ოდიტავნე

|| მამა ყოველთვის იმაზე წერს, რაზეც ფიქრობს და რაც კუთხისთვის, ქვეყნისთვის აქტუალური თემაა. ყოველთვის იცოდა და იცის მწერლის, პოეტის და ზოგადად, შემოქმედი ადამიანის როლი ერსა და საზოგადოებაში. მისი პრინციპი მართალი სიტყვაა. ამისთვის მას არასდროს უღალატია. ამ პრინციპზეა აგებული ბოლო კრებულიც, მისი ნააზრევ-ნაფიქრალი. მის კალამს მელანი ჯერაც არ შეშრობია და კვლავაც კუთხის, ერის, ხალხის სამსახურშია

ლო დამოკიდებულება გვაქვს. მასთან ნებისმიერ თემაზე და საკითხზე შეიძლება საუბარი. დღემდე მაძლევს მამაშვილურ, კოლეგიალურ და პროფესიულ რჩევებს, რასაც ვითვალისწინებ და სასურველ შედეგსაც ვაღწევ. საკუთარ მოსაზრებებს, ფიქრებსაც მიზიარებს მამა და გეგმებზეც ხშირად მესაუბრება, როგორც უფროს შვილს.

- მწერალი ასაკშიც კალამს ეტყურ ნაშრომებსაც.
- ემენ დავითაძის „სოფლის აღმამენებელი“ თანამედროვე ქართული პროზის ღირსეული შენაძინია. რა გახსოვთ იმ წლებიდან, როცა ეს ნაწარმოები იწერებოდა?
- ყველაფერი ნათლად მახსოვს, - დედა ხელნაწერს კარნახობდა, მამა საბეჭდ მანქანასთან იჭდა და აწყობდა, მე სიამოვნებით ვუსმენდი. არ დამავიწყდება მისი აღფრთო-

ვშვობა წიგნის წერის პროცესს, შემდეგ მისი გამოცემის ტკიბილი მოგონებას უკავშირდება. წაკითხულ ტექსტსაც კი ხელახლა ვისმენდი და ველოდებოდი, როდის გამოვიდოდა შემდეგი წიგნი.
- მამის ავტორობით გამოცემულ ლექსების ბოლო კრებულზე რა შენიდულება გაქვთ?
- მამა ყოველთვის იმაზე წერს, რაზეც ფიქრობს და რაც კუთხის-

იყო წიგნი, როგორც საზოგადო „სულიერი სიმშვილის“ მოშობისა...
- უკვე წარმატებული მეცნიერი ხართ, ქართული სიტყვის მეციხოვნედ გთვლიან. რაა მთავარი, რომ დედადანი გლობალიზაციის პროცესებს გაუძლებთ?
- მთავარია, ენამ სიწმინდე შეინარჩუნოს.
- როგორი მეგობარი ხართ?
- ეს, ალბათ, მეგობრებს უნდა

ბოლომდე ერთგული ღარჩა იმ ეროვნული სულისკვეთებისა, რომლის აღორძინებასაც ზვიად გამსახურდია შეენიერა

კასი, რომელიც სამოქალაქო ოჯახზე მალლა აყენებდა

მე-3 გვერდიდან

- ასეთი ტიპის დღესასწაულებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერის ისტორიული მემკვიდრეების გაცოცხლებისა და ერთიანი ქართველური ცნობიერების ამაღლებისათვის; როგორც მამა თვლიდა, სოფლისთვის თავშეწირული კუტი ქალის ქმედება დიდგორის ველზე დაღუპულ ქართველთა გმირობის ტოლფასია; ასეთი დიდებული ადამიანების მაგალითზე კი „ქვეყნის მოყვარე“ ახალი თაობა უნდა გაიზარდოს.

- მწერალმა, მეცნიერმა გიორგი სოსიაშვილმა ტარიელ ფუტყარაძის მოღვაწეობა მხატვრულადაც გაცოცხლა. „ილიები“ თანამედროვე ქართული პროზის კარგი შენაძინია. ამ წიგნს როგორ აფასებთ?

- პირველ რიგში, აღვნიშნავ სასიხარულო ფაქტს, რომ რომანმა „ილიები“ გამარჯვა ლიტერატურულ კონკურსში „მუზა“; მადლობას ვუხდით ბატონ გიორგი სოსიაშვილს, რომ მან ამ რომანის დაწერით მამის სურვილი აღასრულა - მხატვრული ფერადოვნება შესძინა ლეგენდას, რომელმაც შემოგვინახა კუტი ქალის ზნეობრივი გმირობის მაგალითი. რომანში ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი ისტორიული ბედუქულობით შევიწროებული ქართველობის პრობლემები და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - „გზა ხსენისა“, რომ გამოსავალი ისევ ჩვენში უნდა ვეძებოთ, ჩვენი საკუთარი ძალების მოკრებაში, სხვა ვერავინ იტვირთებს ჩვენს გასაწევ პაუზისმგებლობას ქვეყნის გადარჩენისათვის.

- ია ვაშაკიძე ქართულ მეცნიერებაში სიტყვას ამბობს. იგი თქვენთვის არა მარტო დედა, გზამკვლევი, კოლეგა და უფროსი მეგობარია. გაზაფხულის პირველი დღე

სასწაულები როგორ მიულოცეთ?

- რა თქმა უნდა, ყვავილებითა და მოფერებით; გაზაფხულის პირველ დღესასწაულზე კიდევ მეძლევს საბაბი, დედის მართ სიტბო და ყურადღება გამოვხატო.

- 31 მარტი ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა. როგორ შემორჩა თქვენს მემკვიდრეებს მამისა და ქვეყნის პირველი პრეზიდენტის მეგობრობა?

- მაშინ ბატარა ვიყავი, მაგრამ მახსოვს მამის ნათქვამი, რომ ბატონი ზვიადი აჭარიდან შემოსულ ყველა წერილს ვასაცნობდა მას უგზავნიდა, ენდობოდა. ისინი დააახლოვა დამოუკიდებელი და ერთიანი საქართველოსათვის ბრძოლაში და საერთო საქმეში. მამას არც დევნილობაში მიუტოვებია ბატონი ზვიადი, ესწრებოდა გროზის სესიას, რაც მოგვიანებით თავის ჩანაწერებში წარმოაჩინა. მამა იყო ზვიად გამსახურდიას საიუბილეო თარიღებისა და მასთან ერთად, უზუნაესი საბჭოს ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებისადმი (რეფერანდუმი, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი...) მიძღვნილი კონფერენციებისა თუ სხვა ღონისძიებების ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი. ის ბოლომდე ერთგული დარჩა იმ ეროვნული სულისკვეთებისა, რომლის აღორძინებასაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვარაკად შეეწირა... ჩემს მემკვიდრეებს შავ-ბნელ ლაქებში და შემორჩა მილიციის ფორმაში გამოწყობილი პირები, რომლებიც წყვილ-წყვილად მოდიოდნენ და ჯერ ბეჭდს ეკითხებოდნენ, თუ სად იყო მამა, შემდეგ მე - ცალკე მისვამდნენ შეკითხვებს სხვა, უფრო ზუსტი პასუხის მოსმენის იმედით... საბედნიეროდ, მამა მაშინ გადარჩა დაჭერას, თუმცა დევნასა და უკიდურესად გაჭირვებულ წლებს ვინ

გადაურჩებოდა?! შევარდნაძესთან დაახლოებული პირების გარდა არც არავინ... როცა მამა გვენატრებოდა და შეძლებისდაგვარად ვახერხებდით მასთან დარეკვას, გვეუბნებოდა, „სამშობლო ოჯახზე მალლა დგასო...“

ბავშვობიდან შთავგაგონებდა, რომ მხოლოდ განათლება იყო ერთადერთი გზა თავისუფლებისა და სამართლიანობისაკენ საგალ გზაზე.

შენხვედრა - ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებთან

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მათა ომიძე აჭარაში მოქმედი ტურისტული კომპანიების, სასტუმროებისა და ტურიზმის სფეროს სხვადასხვა წარმომადგენლებს შეხვდა.

ბათუმში გამართულ შეხვედრას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე თინათინ ზოიძე და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე თამარ ყორაიული ესწრებოდნენ. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.



გავრცელებული ინფორმაციით, მათა ომიძემ ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებს ადმინისტრაციის მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები გააცნო, მოისმინა კერძო სექტორის წარმომადგენლების ინიციატივები და რეკომენდაციები სხვადასხვა პროექტის ეფექტური განხორციელებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ტურისტული ნაკადების მოზიდვას, შემოსავლების გაზრდასა და კერძო სექტორის განვითარებას.

აზირან ბუჭიაძე



„ეს ის წუთებია, როცა სული მზით ივსება“

ლავა ხომბრობი 593 50 82 69

სანიმუშო, გამორჩეული თარგმანები - ასე აფასებენ ლიტერატურათმცოდნეები ლარსა ლანგლ-ის მიერ უცხო ენებიდან ნათარგმნ ლექსებს. ქალბატონი დარეჯანი თავდაცვ შეხანიშნავი პოეტი გახლავთ, რაც მას, უცხო ენების საუცხოოდ ფლობასა და ჩინებულ განათლებასთან ერთად, ხელს უწყობს, რომ სათარგმნი ტექსტი, განსაკუთრებით - ლექსები, ზედმიწევნით თარგმნის ავტორის სტილისა და პოეტური ხერხების გათვალისწინებით. ამას უთუოდ დაგარწმუნებთ მის მიერ თარგმნილი არაერთი ფრანგი და რუსი პოეტის ლექსები, რომლებიც ანთოლოგიებშია შეტანილი, გამოქვეყნებულია ლიტერატურულ საიტებზე



„მახარია“. საქართველოდან გამგზავრებამ სრულიად შეცვალა ჩემი ცხოვრება. მქონდა შემოქმედებითი პაუზა. მოგვიანებით, როცა სათქმელი დამიგროვდა, ისევ მივუბრუნდი ლექსებს და თარგმანებს. სულმანთა ბატონმა ალექსანდრე ელერდაშვილმა მიმიწვია „მთარგმნელთა ასოციაციაში“. იქ გატარებული პერიოდი ყველაზე ნაყოფიერი იყო ჩვენთვის, ჯგუფის წევრებისთვის. მისი ხელმძღვანელობით

ამჟამად ქალბატონი დარეჯანი საფრანგეთში ცხოვრობს და მუშაობს - წერს ლექსებს, თარგმნის... შევხვდით მას, დავუსვით კითხვები და პასუხები თავად მოგიხრობთ ამ საინტერესო შემოქმედის შესახებ, იმეოზაურებზე მშვენიერების სამყაროში, სადაც ნაზრევი დაფერილია გულისა და გონების სინათლით.

- გაცანით თქვენი პერსონა ჩვენი გაზეთის მკითხველებს - თქვენი ფესვები, მშობლიური გარემო...

- მე ვარ დარეჯანი დანელია. მთარგმნელი, ლექსმწერი, საქართველოს ულამაზესი კუთხიდან - სამეგრელოდან. 1996 წლიდან ოჯახთან ერთად ვცხოვრობ საფრანგეთში, ქალაქ კანში. საოცარია, რაც უნდა მიზიდული იყოს აქ ყოფა, გული მაინც ფესვებისკენ მიმიწევს. მშობლიური გარემო მხოლოდ იქაა, იმ პატარა სოფელში, სადაც ჩემს ეზოს დღესაც ამშვენებს ბავშვობის ქა - „ინჭა“. ეჭვი მაქვს, მართლმაც - ქართველებს გვახსიათებს ასეთი ნოსტალგია. დავიმოწმებ ამონარიდს ჩემი ადრინდელი ლექსიდან:

„მე დაგბრუნდები იქით, სადაც ტყურა მორბის, იქ, სადაც მთები, მხრებგაშლილი, ცამდე სწვდება, სადაც სირუმის შეძრავს მხოლოდ კვილი ორბის, სადაც ციკაბო, მიუვალი ფერდობებია. სადაც ტკივილი სხვისიათ, არავინ იტყვის, სადაც მზე, მთვარე, ვარსკვლავებიც გეფერებია, სადაც არავინ გაზაფხულზე ბორავს და იბრძვის, შემოდგომისას მთის კალთებზე ზეფერებია. ან როგორ დაგთმე! რად მიღირდა შენი დათმობა, მე ვიცი მართლმაც, ყველაფერი ვიცი მართლმაც, ტკივილი ჩემო, საოცნებო მშობელი მიწავ, მე მაპატიე, საქართველოვ, რომ მიგატოვო!“

- „მე პოეტი ვარ და ამით ვარ საინტერესო“ - მაიაკოვსკის ამ შეხედულების თქვენთვის გააზრება...

- ჩემგან განსხვავებით, მაიაკოვსკის იქნებ სრული უფლება მქონდა ეთქვა, მე პოეტი ვარ და ამით ვარ საინტერესო. მე მაინც მგონია, რომ მხოლოდ პოეტობა არაა საკმარისი, საინტერესო ადამიანი იყო. სოციალურმა ქსელებმა უნიკალური შესაძლებლობები მოგვცა, რომ უფრო კარგად გავგეცნო ერთმანეთი, ვინ რითი სუნთქავს, რა აინტერესებს. მერე აკეთებ დასკვნას, საინტერესოა თუ არა ეს ადამიანი შენთვის, მიუხედავად იმისა, რომ კარგი პოეტია.

- მოგვითხრეთ თქვენს ლიტერატურულ საქმიანობაზე, როგორ ეკონტაქტებით მკითხველს, სად აქვეყნებთ, თქვენი აუდიტორია და თქვენი.

- გამოცემული მაქვს ადრინდელი ლექსების კრებული „გნება ქიქიში“. დღეს სულ სხვადასხვა ვქვარ, მაგრამ ის მაინც მიყვარს, რადგან ჩემი პირველი შობილია, ჩემი

ბა, როცა რეალური გარემო ცვლებს ფრთებს აჭრის. პოეტს კი ფრთები სჭირდება. ესაა მიზეზი, თუ რატომ ვიწყებთ მოგონილ სამყაროში მოგზაურობას. ვიგონებთ, ვიჭრებთ, ვწერთ. რაც შეეხება საკუთარი „მის“ რეალიზებას, ვიტყვი - მეტ-ნაკლებად. უფრო მეტის გაკეთება შემიძლო და სურვილიც მქონდა, მაგრამ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს, რომელსაც ზოგჯერ ვემორჩილებით.

- როგორ იწყება დილა ქალაქში, სადაც ახლა ცხოვრობთ? თქვენი ერთი დღე.

- ჩემი ქალაქი, მიუხედავად იმისა, რომ პატარაა, მსოფლიოში ცნობილია თავისი ფესტივალით და კონგრესებით. ის მუდამ ტურისტებითაა სავსე. ჩემი ერთი დღე რაიმე განსაკუთრებულია არ გამოირჩევა. დილა იწყება ზღვაზე გასიარებით. სანაპიროზე დილის ყვავი და კრუასანით. ეს ის წამებია, როცა სული მზით ივსება და იქ რაც უფრო მეტი მზეა, მით უფრო კმაშა და მრავალფეროვანია გარემო. ზიხარ, აკვირდები მოსიარულთა უზრუნველ სახეებს და გაორება გვირს, თან გიხარია, თან სევდა გეძალდება, რადგან ფიქრები ყოველ ჯერზე სოხუმში გაბრუნებს. როგორ ჰყავს აქაურობა ჩვენს ლამაზ ქალაქს, სადაც, იყო დრო, ბედნიერები, ლაღად დავსეირნობდით... ამონარიდი ჩემი ლექსიდან:

